



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა უნდობლობას უცხადებს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების პროცესს და დამდგარ შედეგს. მივმართავთ საერთაშორისო საზოგადოებას, არ ცნოს აღნიშნული არჩევნების შედეგები მანამ, სანამ არ მოხდება ყველა საარჩევნო დარღვევის აღმოფხვრა და დანაშაულის სანდო და მიუკერძოებელი გამოძიება.

საარჩევნო დარღვევების სიმძიმე და მასშტაბი, რასაც ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები შუალედურ შეფასებებში უთითებენ, ასევე, პლატფორმის წევრი ორგანიზაციები აღნიშნავენ, იწვევს დიდ შემფოთებას.

დღეისათვის არაერთი დარღვევის შესახებ გახდა ცნობილი, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იყო ამომრჩეველზე და არჩევნების შედეგებზე გავლენის მოსახდენად. აღნიშნული მოიცავს ხმის მიცემის ფარულობის დარღვევას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული კენჭისყრის შემთხვევაში (ამომრჩეველთა 90%), რაც ორ საარჩევნო ოლქში სასამართლოს გადაწყვეტილებითაც დადასტურდა; ამომრჩევლების დაშინებისა და მათზე ზეწოლის ფაქტებს; უზნებზე დამკვირვებლების მიმართ აგრესიასა და მათ საქმიანობაში ხელშეშლას; მარკირებასთან დაკავშირებულ და სხვა საარჩევნო პროცედურების მასობრივ დარღვევებს.

საარჩევნო პროცესისა და მისი შედეგების მიმართ საზოგადოების უნდობლობა პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მიზანზე. არჩევნების შუალედური შეფასებები აისახა ევროკომისიის მიერ 30 ოქტომბერს გამოქვეყნებულ [გაფართოების ანგარიშში](#). ანგარიშის მიხედვით, საქართველოსთვის მიცემული რეკომენდაციების 9 ნაბიჯიდან არც ერთი არ არის შესრულებული, ხოლო ოთხში დაფიქსირდა უკუსვლა, რაც ცხადყოფს, რომ ევროკომისიის ბოლო შეფასების შემდეგ ევროინტეგრაციის გზაზე პროგრესი არ მიღწეულა. მეტიც, დემოკრატიის უკუსვლის გამო ევროინტეგრაციის პროცესი ფაქტობრივად შეჩერებულია.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციებისთვის მიუღებელია დემოკრატიული პრინციპების საწინააღმდეგოდ, ამომრჩევლის ნებაზე გავლენის მოხდენის ნებისმიერი მცდელობა და ქვეყნის ევროპული კურსის რისკის ქვეშ დაყენება.